ოქმი:**ო37.37210831**
თარიღი:**24/03/2021**

ოქმი #8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2021წელი, 22 მარტი

ქ. ოზურგეთი

16^{00} – 17^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩაგანავა, ლ.მგელაძე, ე. გორდელაძე, გ.კილაძე, ტ.არუშიძე, დ.ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 9, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრისთაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: მიხეილ შილაკაძე

ეროდი გორდელაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა ლ.მგელაძემ დასვა შეკითხვა

დადგენილების პროექტის მე-5 მუხლის „დ“ პუნქტის თაობაზე. გაირკვა, რომ პუნქტის ფორმულირება დასახვეწია. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გ.ღურჯუმელიძის აზრით, წესში ცვლილებების შეტანის შესაბამისად ცვლილება უნდა შევიდეს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტშიც. საბოლოოდ პროექტის ავტორს დაევალა დადგენილების პროექტში დამატებით ორი ცვლილების განხორციელება.

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თემურაზ მურვანიძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ლაშა თავაძე

ეროდი გორდელაძე

განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას (ე.გორდელაძე).

5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მეცნიერების ქუჩა N 16-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთის და მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობების (ანასეული ს/კ 26.26.50.012. 2ო58.00კვ.მ.) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას (გ.კილაძე).

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N1,2,4,5 - საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის (7-აპრილი) დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. N4 საკითხი განხილვისა და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს დარგობრივ

კომისიას(ე.გორდელაძე), ხოლო N5 საკითხი- დარგობრივ კომისიას (გ.კილაძეს).

3. ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N3 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე (23-მარტის) სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი